საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 73

03 02 2017 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საერთაშორისო განათლების სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, 2017 წლის 06 იანვრის №7086, საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის, 2017 წლის 27 იანვრის №69777 და რეესტრის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, 2017 წლის 30 იანვრის №76797 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცენტრის საერთაშორისო განათლების სამსახურში, ცენტრის საქმისწარმოებისა და ცენტრის რეესტრის სამმართველოებში, სტაჟიორების შერჩევის მიზნით, 2017 წლის 03 თებერვლიდან 2017 წლის 08 თებერვლის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი.

2. სტაჟიორობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სწავლობდეს საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, იყოს დამამთავრებელი სემესტრის (ბოლო ორი სემესტრის) სტუდენტი და ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, ან სწავლობდეს სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) იყოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული, რაც დასტურდება შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით;

გ) იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც განათლება მიღებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც დასტურდება ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტით უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

დ) კარგად იცოდეს კომპიუტერული (საოფისე) პროგრამები (Ms. Word, Ms. Excel);

ე) სასურველია უცხო ენის (რუსული ან ინგლისური) კარგად ცოდნა.

3. კონკურსში მონაწილე სტაჟიორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;

გ) დეტალებზე ორიენტაციის უნარი.

4. სტაჟიორების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) სტაჟირების ხელმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება;

ბ) შესაბამისის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დავალებით თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში დახმარების გაწევა.

5. სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდეს:

5.1. ცენტრის საერთაშორისო განათლების სამსახურში - 4 (ოთხი) ადგილზე;

5.2. ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოში - 1 (ერთი) ადგილზე;

5.3. ცენტრის რეესტრის სამმართველოში - 2 (ორი) ადგილზე, აქედან:

5.3.1. ერთ ადგილზე სტაჟიორად მიიღება პირი, რომლის კვალიფიკაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც სტაჟიორი სწავლობს არის: განათლების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა - განათლების მეცნიერებები ქვედარგი/სპეციალიზაცია - განათლების ადმინისტრირება;

5.3.1. მეორე ადგილზე სტაჟიორად მიიღება პირი, რომლის კვალიფიკაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც სტაჟიორი სწავლობს არის: სამართალის მიმართულებით, დარგი/სპეციალობა - საჯარო სამართალი, ქვედარგი/სპეციალიზაცია - ადმინისტრაციული სამართალი ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა - საბუღალტრო აღრიცხვა, ქვედარგი/სპეციალიზაცია - ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი.

6. სტაჟირების ვადა განისაზღვროს 3 თვიდან - 6 თვემდე.

7. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) განცხადების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

8. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის, www.cv.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადებისა და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა;

9. კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა, ვებგვერდის, www.cv.ge, მეშვეობით, ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:

ა) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

10. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე